



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №5/6

2017 წლის 15 თებერვალი  
ქალაქი ფოთი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ნოემბრის №17/168 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილება.

### აღნიშნულიდან გამომდინარე:

#### მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ნოემბრის №17/168 განკარგულებაში და განკარგულებით დამტკიცებული დანართი №3 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

#### მუხლი 2.

აღნიშნული განკარგულება და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებები წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

#### მუხლი 3.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

#### მუხლი 4.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 15 თებერვლიდან.